რექტორის 2011 წლის 4 თებერვლის №03-62 ბრძანებაში ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის საუნივერსიტეტო რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ“ დამატების შეტანის შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე მუხლის პირველი პუნქტის, ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 63-ე მუხლის, განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2010 წლის 27 დეკემბრის №114 ბრძანების, ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების დამტკიცების შესახებ” საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 20 აპრილის №27/ნ ბრძანების მე-17 მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ

1. რექტორის 2011 წლის 4 თებერვლის №03-62 ბრძანების ,,ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებიდან გადმოსვლის უფლების მქონე პირთათვის საუნივერსიტეტო რეგისტრაციის ვადებისა და წარმოსადგენი დოკუმენტაციის განსაზღვრის შესახებ“ მეორე პუნქტში შევიდეს შემდეგი სახის დამატება:

,,ი) ცნობა უმაღლესი საგანამანთლებლო დაწესებულებიდან მისი სწავლის საფასურის ოდენობისა და მისთვის გამოყოფილი სახელმწიფო გრანტის ოდენობის შესახებ“

2. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას, საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს და საინფორმაციო ტექნოლოგიების სამსახურს ამ ბრძანების განთავსება საჯარო გაცნობისათვის;

3. უნივერსიტეტის კანცელარიას დაევალოს, მიაწოდოს ბრძანების ასლები უნივერსიტეტის ყველა ფაკულტეტს, ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, სასწავლო პროცესის ადმინისტრირების დეპარტმენტს, იურიდიულ სამსახურს, საინფორმაცო ტექნოლოგიების სამსახურს და საზოგადოებასთან ურთიერთობის სამსახურს.

რექტორი გიგი თევზაძე